საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ისტორიული არბორეტუმის რეაბილიტაციისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

(CPV-71200000)

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 102 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების საფუძველზე

2019 წელი
ქ. თბილისი

საკონკურსო დოკუმენტაცია

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1. კონკურსით შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.

1.2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.

1.3. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტი მიენიჭება ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს;

1.5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.7. საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

1.8. ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ–ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.

1.9. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.10. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ–ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ–ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ–ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ–ის ოდენობა.

1.11. საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.

1.12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.

1.13. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

1.14. ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.

1.15. საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.

1.16. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, გამოიწვევს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

1.17. ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „პ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ

მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება.

1.18. შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად მიმართეთ საკონკურსო აპარატს: რუსლან მამარდაშვილი ტელ: 598 20 45 02, ელ. ფოსტა: r.mamardashvili@gmail.com, მის: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1 (ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული შენობა).

2. შესყიდვის ობიექტი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ისტორიული არბორეტუმი (#01) (*Arboretum* ეწოდება ტერიტორიას, სადაც წარმოდგენილია მერქნიან მცენარეთა ერთობლიობა სამეცნიერო და სადემონსტრაციო მიზნით) გაშენებულია სოლოლაკის ქედის სამხრეთ ფერდობზე. აღმოსავლეთით იგი უშუალოდ ეკვრის აბანოთუბანს, ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ნარიყალას ციხის კედლებით, სამხრეთის მხრიდან – მდინარე წავკისისწყლით, დასავლეთით მიჰყვება ხევს და გრძელდება ჩანჩქერამდე, ბამბუკების კორომის ჩათვლით.

ტერიტორიის სიგრძე 600 მეტრია, ხოლო მთლიანი ფართობი – 6,5 ჰა. იგი უმეტესად დატერასებულია 12 საფეხურად. ტერასები გამაგრებულია ქვის საყრდენი კედლებით. აქ გვხვდება როგორც ციცაბო, ისე შედარებით ვაკე და დამრეცი ფერდობები. ტერასებზე გაშენებულია მერქნიან მცენარეთა ისტორიული კოლექციები, ფერდობები კი ადგილობრივ მცენარეულობას უჭირავს. აქვე დგას „სვანური“ ტიპის ორი კოშკი.

ისტორიული არბორეტუმი ბოტანიკური ბაღის ყველაზე ძველი ნაწილია. მისი მცენარეებით განაშენიანება XVII საუკუნიდან იწყება, რაც დადასტურებულია ჟან შარდენის კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერებით. ნარიყალას ციხის სიახლოვეს გაშენებული ბაღი „სამეფო ბაღის“ სახელით იყო ცნობილი. არბორეტუმის ტერიტორიაზე ადრეული პერიოდიდანვე იყო დარგული, როგორც დეკორატიული ასევე სასარგებლო (ეკონომიკური) ეგზოტური მცენარეები. 1801 წლიდან ბაღი სახაზინო დაქვემდებარებაში გადავიდა და მოგვიანებით მას სააფთიაქო ბაღი ეწოდა. ისტორიული არბორეტუმის ტერიტორიაზე გაშენებულ ბაღს ბოტანიკური ბაღის სტატუსი 1845 წლიდან ენიჭება. მას შემდეგ იწყება არბორეტუმის ტერიტორიის გეგმიური განაშენიანება მცენარეთა ახალი სახეობებით და ბაღის საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ტერიტორია დატერასდა, შემდგომში იტალიური ტერასული ბაღების განაშენიანების მიზნით, ტერასებზე დაირგო ეგზოტური მცენარეები, რომელთა ნაწილი დღემდე შემორჩენილია. ტერასების დეკორატიული მოწყობა და მისი გაფორმება სამწუხაროდ სრულად აღარ განხორციელებულა და შემოიფარგლა მხოლოდ სახელდახელოდ ხისა და ქვის კომბინაციით მოწყობილი კიბეებისა და გრუნტიანი ბილიკების მოწყობით. ამავე პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენდა რამდენიმე შენობა-ნაგებობა, რომლებსაც გააჩნდა ადმინისტრაციული და კვლევითი დანიშნულება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისტორიული არბორეტუმის ორანჟერეების კომპლექსი, რომელიც „ფრანგული ორანჟერეის“ სახელითაა ცნობილი და მდებარეობდა არბორეტუმის ცენტრალურ ნაწილში.

ისტორიული არბორეტუმი ირწყვებოდა მდ. წავკისისწყლით, ღია არხებისა და ხელოვნური კასკადების გამოყენებით მდინარის წყლის ბაღის ფართო ნაწილზე გაშლის გზით. კლდოვან ფერდობებზე შექმნილ ტერასებზე შემოტანილი იყო დიდი რაოდენობით ნაყოფიერი ნიადაგები მცენარეთა კოლექციისათვის ხელსაყრელი ნიადაგობრივი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად. ხელოვნური ტერასები გამაგრებული იყო ადგილობრივი წარმოშობის ქვის ყორეებით, რომელთა დიდი ნაწილი დღეს დაზიანებულია. ტერასებს შორის დამაკავშირებელი კიბეები და ბილიკების საყრდენი კედლები გაფორმებული იყო მდინარის ბრტყელი ქვების დეკორატიული წყობით.

დღეისათვის არბორეტუმის ტერიტორიაზე განლაგებულია მცენარეთა მნიშვნელოვანი და ისტორიული კოლექცია, ბაღის ისტორიის მუზეუმი (სარეკონსტრუქციო), სარწყავი სისტემა (წყალგაყვანილობის ძველი მილები, მდინარის წყლის დახურული არხები, სარეზერვო და დეკორატიული აუზები), ნარიყალას ციხე-კოშკების ნაწილი (აღდგენილია), ტერასები (საჭიროებს გამაგრებას), 5 კმ. სიგრძის ბილიკები (მოსაკირწყლია), ტერიტორია გასათავსუფლებელია თვითნათესარი მცენარეებისგან და შესატანია ახალი კოლექცია, რისთვისაც საჭიროა ტერასების ხელახალი მოწყობა-გამაგრება, ისტორიული ბაღის ტერიტორიაზეა ბავშვთა გასართობი სივრცე, სასტუმროს ყოფილი შენობა, სალარო პუნქტები.

არბორეტუმის ტერიტორია სოლოლაკის ქუჩას უკავშირდება კიბეების საშუალებით ორ მონაკვეთზე, ქართლის დედის სკულპტურისა და საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიაზე. ბაღის ძირითად ტერიტორიას კი უკავშირდება მდინარე წავკისისწყალზე გადებული 3 ხიდით.

ისტორიული არბორეტუმი სქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ცენტრალური ნაწილია, იგი გამოირჩევა მისდამი დამთვალიერებელთა დიდი ინტერესით, ისტორიული და ბოტანიკური ღირებულებით, რის გამოც მისი

აღდენა-რეკონსტრუქცია, კეთილმოწყობა და ახალი ტერიტორიაზე საინტერესო საბაღე ელემენტების შერწყმა ხელს შეუწყობს როგორც ბაღის ისტორიული ნაწილის დაცვას, ასევე მის სწორ განაშენიანებას და განვითარებას.

3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა

3.1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 122 800 (ას ოცდაორი ათას რვაასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

4. საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშება

4.1. საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებას დაემატება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

4.3. საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

5. კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონები:

5.1. ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა - 80%;

5.2. საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა - 20%.

6. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები:

6.1 მომსახურების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-აღდგენა მოცემულ ტერიტორიაზე მცენარეთა კოლექციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, ისტორიული საბაღე-დეკორატიული ელემენტებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის, აღდგენის, ახალის შექმნისათვის და ვიზიტორებისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნის მიზნით. წინამდებარე დავალება განსაზღვრავს მომსახურების პირობებს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ლანდშაფტური განვითარების გენერალური გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით ისტორიული არბორეტუმის რეკონსტრუქციისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, არბორეტუმის კონკრეტულ ობიექტებზე:

ა) ისტორიული არბორეტუმის ტერასების გამაგრება, საჭიროებისამებრ აღდგენა-მოწყობა, ასევე გზების, ბილიკების, ღია სარწყავი სიტემების, მიწისქვეშა კომუნიკაციების აღდგენა, ხელოვნური კასკადების მოწყობა;

ბ) დეკორატიული თარგების მოწყობა;

გ) ისტორიული ორანჟერეების აღდგენა;

დ) სოლოლაკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან (საბაგირო სადგურის სიახლოვეს) დამაკავშირებელი ლიფტის მოწყობა;

ე) ისტორიული არბორეტუმის საერთო კეთილმოწყობა (ფანჩატური, ფურნიტურა, გარეგანათება, სკულპტურები და ქანდაკებები, საინტერპრეტაციო საშუალებები და ა.შ).

6.2 დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

6.3 საპროექტო ობიექტის აღწერა:

ისტორიული არბორეტუმის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ:

ა) ისტორიული არბორეტუმის ტერასები მეტწილად განლაგებულია ციცაბო, დახრილ ფერდობებზე, ტერასების სასიმაგრო კედლების მოწყობისას ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას ბუნებრივი ქვა, და ქვების ისეთი წყობა რომელიც დამახასიათებელია არბორეტუმის ტერასებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ტერასას არ აქვს დასრულებული სახე სასურველია მომზადდეს მისი მოწყობის ტრადიციული ან თანამედროვე ტექნიკა და

ვიზუალი, რაც ამჯერად არ არის გამოყენებული ტერიტორიის განაშენიანებაში. იგივე შეიძლება ითქვას ტერასებს შორის მოქცეულ ბილიკებსა და კიბეებზე. აქ გათვალისწინებულ უნდა იქნას ფერდების ეროზიისაგან დაცვა.ისტორიული არბორეტუმის ტერიტორიაზე გამავალ მთავრ ბილიკს უნდა შეეძლოს ელექტრომობილების შეუფერხებელი გატარება სალარო პუნქტამდე და უკან. საპროექტო გზების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მცირე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებით მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხვედრა. რაც შეეხება საირიგაციო სისტემას, საჭიროა მდ. წავკისიწყლიდან მომავალი ღია არხის სრული აღდგენა, ასევე ტერიტორიის ძირითადი ნაწილის ღია წყალსადინარებით დაქსელვა, რამაც უნდა შექმნას ხელოვნური ნაკადულისა და კასკადების ეფექტი. გარდა ამისა მიწისქვეშ უნდა მოეწყოს ცენტრალური სარწყავი სისტემა, რამაც შესაძლებელი უნდა გახადოს ბაღის აღნიშნული ტერიტორიის შეუფერხებელი მორწყვა. სარწყავი სიტემის გარკვეული კვანძის მოსაწყობი იქნება სოლოლაკის ქედის ზემო ფერდობებზეც, იქ არსებული ან შემდგომში დასარგავი მცენარეების მოსარწყავად. ყურადღება უნდა მიექცეს კლდოვანი ფერდობების ისეთ უბნებს სადაც მოსალოდნელია ქვათაცვენა, უნდა მოეწყოს დამცავი ბადეები ან მოიძებნოს სხვა გადაწყვეტები ქვათაცვენის უბნებში ვიზიტორთა და ბაღის პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბ) ლანდშაფტური განვითარების გეგმის შესაბამისად არბორეტუმის ტერიტორიის რამდენიმე მონაკვეთზე მოსაწყობი იქნება ყვავილნარები, ასევე დეკორატიული თარგები მოყვავილე ბუჩქებისა და მრავალწლოვანი მცენარეებისათვის. თარგების მოწყობისას გასათვალისწინებელია ლანდშაფტური გეგმის ძირითადი მოთხოვნები: თარგების ფორმის, ზომის, კონფიგურაციისა და შინაარსის განსაზღვრისათვის. საპროექტო ტერიტორიაზე დეკორატიულ თარგებს უნდა გააჩნდეთ მორწყვის სისტემა.

გ) „ფრანგული ორანჟერეა“ ისტორიული არბორეტუმის მთავრი ღირსშესანიშნაობაა, მისი როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა გულისხმობს საორანჟერეო ინფრასტრუქტურის ხელახალ შექმნას. არბორატუმის ორანჟერეათა კომპლექსში განიხილება სამი ორანჟერეა: 1. მთვარ ტურისტულ მარშრუტზე არსებული ყოფილი მეყვავილეობის სათბური (დღეისათვის დანგრეულია), უნდა აღდგეს, როგორც მცენარეებისა და სუვენირების მაღაზია-სალონი; 2. „ფრანგული ორანჟერეის“ მცირე ორანჟერეა (შემორჩენილია ძირითადი კონსტრუქცია) უნდა აღდგეს როგორც ტროპიკული მცენარეებისათვის, სასურველია მიემატოს ერთი ანალოგიური ფლიგელი; 3. „ფრანგული ორანჟერეა“ წყალმცენარეებისათვის, თაღოვანი სათბური აუზით (შემორჩენილია მხოლოდ აუზი), მისი აღდგენა უნდა მოხდეს ისტორიული ფოტოებზე ასახული სახით. თითოეული ორანჟერეისათვის მოსაწყობი იქნება გათბობის, განათებისა და ვენტილაციის სისტემები, ასევე ორანჟერეის საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

დ) სოლოლაკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან (საბაგირო სადგურის სიახლოვეს) დამაკავშირებელი ლიფტის მოწყობის მიზანია ხელი შეუწყოს დამთვალიერებელთა მოზიდვას, ახალი სალარო პუნქტის გახსნას, შშმ პირთათვის ბოტანიკური ბაღის ხელმისაწვდომობას. გასათვალისწინებელია, რომ ლიფტს უნდა იყოს მინის, მისი კონსტრუქცია და დიზაინი შეესაბამებოდეს ადგილობრივ რელიეფს, ლიფტის უნდა გააჩნდეს მაქსიმალურად დიდი გამტარუნარიანობა.

ე) არბორეტუმის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები გულისხმობს ტერიტორიაზე დეკორატიული საბაღე ელემენტების შექმნას, საბაღე ფურნიტურის შერჩევასა და განთავსებას, ცალკეულ და ცენტრალურ ადგილებში გარეგანათების მოწყობას ან და რეკონსტრუქციას, ბაღის ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე ადგილების შერჩევასა და ძირითადი კონცეფციის დამუშავებას ბიუსტების, სკულპტურებისა და ქანდაკებებისათვის. საჭიროებისამებრ დეკორატიული აუზებისა მოწყობას, განსაკუთრებული დიზაინის მქონე საინფორმაციო დაფების, მანიშნებლებისა და ეტიკეტების მომზადებასა და განთავსებას. კეთილმოწყობის სამუშაოები ზემოთაღნიშნული დეკორატიული თარგების მოწყობის გარდა გულისხმობს სხვადასხვა გამწვანება-განაშენიანების საჭიროების გასაზღვრავს და ისეთი ღონისძიებების დაგეგმვას, როგორიცაა გაზონების, მოლისა თუ სკვერის მოწყობა, ხეივნების განაშენიანება თუ საპიკნიკე მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა.

6.4 გასაწევი მომსახურების ეტაპები, ძირითადი მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

გასაწევი მომსახურება შედგება შემდეგი 4 (ოთხი) ეტაპისაგან:

- I ეტაპი - საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევა, ძირითადი კონცეფციების დამუშავება და შეთანხმება;
- II ეტაპი - ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, კორექტირება და დამკვეთთან შეთანხება;
- III ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- IV ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა.

I ეტაპი

მომსახურების I ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს - საძიებო სამუშაოების ჩატარება და საპროექტო ტერიტორიის კვლევა. ობიექტების პირველადი მონახულება, უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. შემდგომ სამუშაო პროცესში ჩართული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის პასუხისმგებელი პირები (სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალი)

მომსახურების I ეტაპზე წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- ტერიტორიის ზოგადი (ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული, გეოლოგიური დ ა.შ.) შესწავლა;
- ინფორმაცია არსებული კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის თაობაზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- სარეაბილიტაციო ორანჟერიის ასევე სხვა შენობა-ნაგებობების (არსებობის შემთხვევაში) კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა და დასკვნა კონსტრუქციულ მდგრადობაზე;
- საპროექტო ინფრასტრუქტურის (გზები, ბილიკები, კიბეები, ტერასები, დეკორატიული უბნები, შენობა-ნაგებობები დ ა.შ) ანაზომები, კროკები და სარეაბილიტაციო მოცულობების მიახლოებითი გაანგარიშება;
- პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთება, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების (მათ შორის ფინანსური მასშტაბების), განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით. პირველადი ინფორმაცია ობიექტების სარწყავი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელებთან მიერთებებთან დაკავშირებით.

საძიებო კვლევითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო ტერიტორიაზე ცალკეული ობიექტების საპროექტო კონცეფცია პარამეტრები, მასშტაბები და სავარაუდო გადაწყვეტები.

II ეტაპი

მომსახურების II ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, დამკვეთის შენიშვნების გათვალისწინებით მისი კორექტირება და დამკვეთთან შეთანხმება.

ესკიზური საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- განმარტებითი ბარათი;
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით;
- არქიტექტურული ანაზომები;
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000);
- არქიტექტურული ნაწილი - გეგმები, ჭრილები, ფასადები, განშლები; ვერტიკალური გეგმარება, 3D ვიზუალიზაცია, ოცულობა;
- ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- მცირე არქიტექტურული ფორმები (საჭიროების შესაბამისად);
- ესკიზური დენდროლოგიური პროექტი (არსებობის შემთხვევაში);
- ესკიზური არქიტექტურული პროექტი;
- არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა;
- რენდერები და ფოტომონტაჟი.

მომსახურების ამ ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, შემსყიდველის შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით. ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის საბოლოო ვარიანტის წარდგენის შემდეგ, შემსყიდველი დააზუსტებს პროექტის პარამეტრებს, მასშტაბებსა და სავარაუდო გადაწყვეტებს, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება მომსახურების შემდგომი ეტაპზე რომელიმე ობიექტზე დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურების შეწყვეტის თაობაზე.

III ეტაპი

მომსახურების III ეტაპზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- განმარტებითი ბარათი;
- ტოპო გადაღება UTM (საერთაშორისო) კოორდინატთა სისტემით;
- სიტუაციური და გენერალური გეგმები (მ 1:500; 1: 1000);
- არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები (მ.1:100, 1:50, 1:25);
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, (მ 1:100; 1:500; 1:1000;)
- მოსაპირკეთებელი, კეთილმოწყობის სამუშაოების უწყისები, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამოსაყენებელი მასალების სრული სპეციფიკაციები;
- არქიტექტურული მცირე ფორმების დეტალური ნახაზები - ფურნიტურა, ჩამოსაჯდომი სკამი, ფანჩატურები, დეკორატიული აუზები, საჩრდილობელი, ან თაღები ხვიარა მცენარეებისათვის, დეკორატიული ელექტრო ბოძი, წყლის სოკო და ა.შ (საჭიროების შესაბამისად);
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- საინჟინრო ნაწილი: - ელ.ქსელი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, სანიაღვრე, გათბობა (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები);
- დემონტაჟის პროექტი (გეგმები, ფასადები, სპეციფიკაცია, გრაფიკი);
- დენდროლოგიური პროექტი (საჭიროებისამებერ, ბოტანიკური ბაღის სპეციალისტების ჩართულობით);
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული და სავარაუდო ფინანსური გრაფიკი;
- ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების უწყისები და ხარჯთაღრიცხვა - რესურსული და გამსხვილებული ვერსიები;
- სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები;
- საინჟინრო კომუნიკაციებზე დატვირთვების განსაზღვრა შესაბამისი უწყებებიდან ტექნიკური პირობების მისაღებად (საჭიროების შესაბამისად);
- ეკონომიკური ანალიზი (უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო
- კაპიტალურ ხარჯებს და ასევე საოპერაციო და მოვლა-შენახვის საშუალო წლიურ ხარჯებს.

აღნიშნული მონაცემები აუცილებელია მომზადდეს პროექტის ტექნოლოგიური გადაწყვეტის ყველა შესაძლო ალტერნატივისთვის (პროექტის ტექნიკური თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილ უნდა იყოს ტექნოლოგიური გადაწყვეტის სულ მცირე ორი ალტერნატივა). ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას ხარჯების გაანგარიშების თითოეული ალტერნატივის მეთოდოლოგია შესაბამისი განმარტებითა და მონაცემთა წყაროების მითითებით.

მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საექსპერტო დასკვნა გაცემული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

IV ეტაპი

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე დაწყებული, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე, მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა, სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე. სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობებისა და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში. დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს

გამოყენებული სამშენებლო ნორმები და წესები, გაანგარიშებების მეთოდები. სატენდერო ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალების, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისათვის. პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბში და დეტალიზაციით.

6.5 მოსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

6.6 მომსახურების I და II ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა ყველა ობეიქტისთვის ცალ-ცალკე, ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად, ბეჭდური ვერსიით მყარი ასლის სახით, წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD/ArchiCAD და PDF ფორმატებში).

6.7 საბოლოო დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში ((ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - CAD, DWG, PLN და PDF ფორმატში) კომპაქტური დისკებით (CD ან DVD). სახით), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4 და A3 ფორმატში) სახით. საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ობიექტისთვის ინდივიდუალურ ალბომად, ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად.

6.8 მომსახურების ყველა ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. N1 (შემსყიდველის მისამართი), საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია.

6.9 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ნებართვების მიღება (ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან)

7. მომსახურების ეტაპების მიწოდების ვადები

7.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყველა ობიექტისთვის მომსახურების I ეტაპით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას;

7.2 I ეტაპით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებით პირველი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 35 (ოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღეში მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს II ეტაპით გათვალისწინებულ ესკიზური საპროექტო დოკუმენტაცია;

7.3 ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყველა ობიექტისთვის, მომსახურების IV ეტაპით გათვალისწინებულ დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავებული უნდა იყოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად და შემსყიდველთან საბოლოო სახით წარდგენილი უნდა იყოს როგორც რესურსული, ასევე სატენდერო ფორმატის სახით.

7.4 გათვალისწინებული, საავტორო ზედამხედველობა განხორციელდება, მიმწოდებლის მიერ მოწოდებული დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე წარმოებული სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან მათ საბოლოო დასრულებამდე.

8. ანგარიშსწორების ვადები და პირობები:

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

8.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მხარეთა შორის ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. II ეტაპის დასრულების შემდეგ მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია შუალედური ანაზღაურება I და II ეტაპების ღირებულების არაუმეტეს 70%-ის ოდენობით.

8.4. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

8.5. დაფინანსების წყარო: 2019-2020 წლის ბიუჯეტის სახსრები.

9. საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

9.1 შეფასების კრიტერიუმები:

N	ხარისხის შეფასების კრიტერიუმები	კოეფიციენტი	კრიტერიუმის ტიპი
1	**სადემონსტრაციო მასალა:** **1.** არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება; **2.** დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები; **3.** სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკის გადაწყვეტის ამსახველი ვიზუალური მასალა - ესკიზები, განშლები, ფოტომონტაჟი, რენდერები ან/და სხვა, შესაძლოა რამდენიმე ვარიანტი, გამოსაყენებელი სამშენებლო თუ მოსაპირკეთებელი მასალ(ებ)ის მითითებით; **4.** საპროექტო სამუშაოების ეტაპები (დეტალური აღწერა), ვადა და კალენდარული გრაფიკი; სავალდებულოდ წარმოსადგენი მასალა: **1.** საპროექტო ობიექტების არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია; **2.** ვიზუალიზაცია გრაფიკული მასალის სახით; **3.** განმარტებითი ბარათი. სავალდებულოდ გასათვალისწინებელი მოთხოვნა: - გეგმარების შესაბამისობა კონკურსით მოთხოვნილ პირობებთან; - არქიტექტურული მისადაგება არსებულ განაშენიანებასთან და არსებულ ისტორიულ გარემოსთან.	0,6	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისისს წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს. შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტური იქნება შემოთავაზებული კონცეფცია, რამდენად დამუშავებული - დიზაინი, შესაბამისი გრაფიკული მასალა და რამდენად დეტალური - განმარტებითი ბარათი.
2	**პრეტენდენტის გამოცდილება:** პრეტენდენტს 2010 წლის 01 იანვრიდან წინამდებარე კონკურსის საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულების მომენტისთვის გაწეული უნდა ქონდეს: **კომპონენტი 1.** ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობის (იგულისხმება: ქუჩების გამწვანება, საფეხმავლო არეებისა და დასასვენებელი უბნების მოწყობა, ბაღების და სკვერების განაშენიანება), ან მოედნების, ან პარკების, ან ლანდშაფტური არქიტექტურის სხვა ობიექტების მოწყობის, ან რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომლის ღირებულება თითოეული დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 80 000 ლარს. **კომპონენტი 2.**	0,4	თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს. რიცხობრივ მაჩვენებებლში იგულისხმება ქუჩების გამწვანება, საფეხმავლო არეებისა და დასასვენებელი უბნების მოწყობა, სკვერებისა და დეკორატიული გამწვანებული უბნების განაშენიანება), ან მოედნების, ან პარკების, ან ლანდშაფტური არქიტექტურის სხვა ობიექტების მოწყობის, ან რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულება.

	სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის, საზოგადოებრივი ობიექტების მოწყობის, სათბურებისა და ორანჟერეების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის, ან/და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობების რესტავრაციის, ან რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომლის ღირებულება, თითოეული დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 80 000 ლარს		თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს. რიცხობრივ მაჩვენებებლში იგულისხმება სამოქალაქო დანიშნულების შენობა ნაგებობების მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის, ან/და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობების რესტავრაციის, ან რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ღირებულება

შენიშვნა: თვლადი რიტერიუმის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს. რიცხობრივ მაჩვენებებლში იგულისხმება საკონკურსო პირობით გათვალისწინებული ანალოგიური მომსახურების ღირებულება. შეფასებას და დაჯამებას დაექვემდებარება მხოლოდ იმ ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული ანალოგიური მომსაუხრების ღირებულება, რომელიც თითოული ხელშეკურლების ფარგლებში შეადგენს, ან აღმატება 80 000 ლარს - კომპონენტი N1, 80 000 ლარს - კომპონენტი N2

9.2 პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

9.2.1 პრეტენდენტს 2010 წლის 01 იანვრიდან წინამდებარე კონკურსის საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულების მომენტისთვის გაწეული უნდა ქონდეს (მოთხოვნის მინიმალურად დაკმაყოფილებისათვის წარმოსადგენია სულ მცირე ერთი ხელშეკრულება როგორც კომპონენტი N1-ის შემთხვევაში, ასევე - კომპონენტი N2-ის შემთხვევაში):

მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკმეტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ საკონკურსო კომისიამ შეძლოს ტექნიკური დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის შეფასება. გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების შეფასებისას მხედველობაში მიიღება უშუალოდ პრეტენდენტის გამოცდილება, კერძოდ ქვეკონტრაქტი და ქვეკონტრაქტორის გამოცდილების შეფასება პრეტენდენტის გამოცდილებასთან ერთად არ განხორციელდება.

9.2.2 სადემონსტრაციო მასალა:

1. საპროექტო ობიექტების არქიტექტურული გადაწყვეტის კონცეფცია;
2. ვიზუალიზაცია გრაფიკული მასალის სახით;
3. განმარტებითი ბარათი.





დანართი N1

გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა

#	გასაწევი მომსახურების ეტაპები	ფასი (ლარი), დღგ-ს გარეშე	ფასი (ლარი), დღგ-ს ჩათვლით
1	I ეტაპი - საძიებო სამუშაოები, საპროექტო ტერიტორიის კვლევა, ძირითადი კონცეფციების დამუშავება და შეთანხმება;	სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%;	
2	II ეტაპი - ესკიზური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, კორექტირება და დამკვეთთან შეთანხება;	სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%;	
3	III ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;	სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 55%;	
4	IV ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა.	სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 10%.	
	ჯამი		

შენიშვნა:

1. დღგ-ს გარეშე ფასი არ უნდა აღემატებოდეს საბოლოო წინადადების ფასს.
2. დღგ-ს ჩათვლით ფასის გრაფა ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი ან წარმოდგენილი წინდადადების ფასის გათვალისწინებით უნდა დადგეს დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელის აღრიცხვაზე
3. გაანგარიშების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს მხოლოდ საკონკუროს კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, ასევე დაუშვებელია პრეტენდნეტმა ტექნიკური დოკუმენტაციის ველში წარმოადგინოს გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ან ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპზე წარმოადგენს გაანგარიშება/ხარჯთარიცხვას, რომელშიც მითითებული იქნება ფასი, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

<u>პროექტი</u>

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში

გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი --- --- 2019 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი", წარმოდგენილი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ „--------", წარმოდგენილი დირექტორის --------- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ანხორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი:

2.2 კლასიფიკატოროს კოდი:

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია, CNT _____ საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯსა და მოსაკრებელს, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1 (ტექნიკური დავალება) (შემდგომში - დანართი N1) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისთვის, საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმების ხარჯს (ასეთი ხარჯის არსებობის შემთხვევაში), დეტალური საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურების ხარჯს და მიმწოდებლისთვის გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. გასაწევი მომსახურების რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 (შემდგომში - ხარჯთაღრიცხვა).

3.4. დანართი N2 და ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიწოდების ვადა

4.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" ----------

6. გაწეული მომსახურების ხარისხი

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

7. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის" ----------
7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.
8.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
8.3 ანგარიშსწორება მოხდება 201- წლის ----------, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ

არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლემბა-მოვალეობები მესამე პირს.
11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე..
11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
145.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
145.3 მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.
14.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 1 (ათი) კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
15.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად.
15.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების

დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

15.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

168.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან

17.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის ---------- ჩათვლით.

22. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---